

ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI)



სერბეთი/საქართველო

(ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ურთიერთშედარება)

2012 ნოემბერი, კონსტანტინე ჯანჯღავა

(სამართლისმცოდნე, ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI)
პროექტის „საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა- www.opendata.ge” იურისტი)

წარმოდგენილი კვლევა ეფუძნება ავტორიტეტული არასამთავრობო ორგანიზაციების **Access Info Europe** (ესპანეთი) და **The Centre for Law and Democracy** (კანადა) მიერ შემუშავებულ ინფორმაციის თავისუფლების გლობალურ რეიტინგს (იხ. - <http://rti-rating.org/home.php>). ხსენებული რეიტინგის მიზანია ამა თუ იმ სახელმწიფოს ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი შიდა კანონმდებლობის ანალიზი-შეფასება. 93 სახელმწიფოს შემთხვევაში შეფასების მაქსიმუმს წარმოადგენს 150 ქულა (http://www.rti-rating.org/country_data.php). რეიტინგის თანახმად, სერბეთის ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობა პირველ ადგილს (135 ქულა), ხოლო საქართველოს კანონმდებლობა 94 ქულით 30-ე ადგილს იკავებს http://www.rti-rating.org/view_country.php?country_name=Georgia .

ინფორმაციის თავისუფლების გლობალურ რეიტინგი საშუალებას გვაძლევს განვახორციელოთ სერბეთისა და საქართველოს შესაბამის კანონმდებლობათა ურთიერთშედარება, რომლის მიზანია იმ ზოგადი, ინსტიტუციონალური და პროცედურული კომპონენტების გამოვლენა, რომლებიც უზრუნველყოფენ სერბეთის კანონმდებლობის მოწინავე პოზიციას ინფორმაციის თავისუფლების დარგში, ხოლო საქართველოს კანონმდებლობას, ხსენებული კომპონენტების მასში სამომავლო შესაძლო ინტეგრაციის შემთხვევაში, საშუალება მიეცემა მოწინავე გახადოს საჯარო ინფორმაციის ღიაობის ნორმატიული განწერა, რაც მის პრაქტიკულ გამოყენებასთან ერთად უდავოდ წაადგება როგორც საქართველოს სახელმწიფოს, ასევე საქართველოს მოსახლეობას.

შეფასების ბლოკი - ინფორმაციის მოთხოვნის უფლება

▶ ინფორმაციის თავისუფლების სამი პრინციპი:

სერბეთი

„საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის პირველ მუხლში ხაზგასმულია ინფორმაციის თავისუფლების პრინციპები:

- საჯარო ინფორმაციის მიღების ინტერესის დაცვა და შესრულება;
- თავისუფალი დემოკრატიული წყობილების ხელშეწყობის მიზანი;
- ღია საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზანი.

ხსენებული პრინციპების აღსრულების მიზნით სერბეთში აგრეთვე იქმნება ავტონომიური და დამოუკიდებელი სპეციალური სახელმწიფო ორგანო - საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციის კომისიონერი.

საქართველო

ამგვარი პირდაპირი მითითება საქართველოს კანონმდებლობაში არ მოიპოვება.

▶ ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ფართოდ ინტერპრეტირების საშუალება

არც ერთი სახელმწიფოს კანონმდებლობის პრინციპები ამგვარ საჭიროებას არ ითვალისწინებენ.

შეფასების ბლოკი - მოთხოვნის პროცედურები

▶ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის გამარტივებული პროცედურები:

სერბეთი

„საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის მეთხუთმეტე მუხლიდან გამომდინარეობს, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში არ არის საჭირო სპეციალური ფორმის გამოყენება, აგრეთვე მითითება იმ კანონზე, თუ რომელსაც ეფუძნება მოთხოვნა და არც იმ დოკუმენტის მითითება, რომელიც შეიძლება შეიცავდეს მოთხოვნილ ინფორმაციას.

საქართველო

ზემოთ მოყვანილი აღწერა მიესადაგება საქართველოსაც, თუმცა ქულა დაკლებულია იმ გარემოების გამო, რომ ინფორმაცია არ შეიძლება მოთხოვნილ იქნეს კომუნიკაციის ყველა საშუალებით. ერთადერთი მეთოდია წერილობითი მოთხოვნა, არ არის გათვალისწინებული ელ.ფოსტისა და ფაქსის მეშვეობით ინფორმაციის მოთხოვნა (ხაზგასმულია პრაქტიკა).

▶ დახმარება საჯარო ინფორმაციის მომთხოვნ პირს:

სერბეთი

„საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის თანახმად (მუხლ. 15, 38, 39), საჯარო მოხელეები ვალდებული არიან გაუწიონ დახმარება საჯარო ინფორმაციით დაინტერესებულ პირებს მოთხოვნების ფორმულირებაში, ან/და დააზუსტებინონ ძალზედ ფართო ან ბუნდოვანი მოთხოვნები. აგრეთვე გათვალისწინებულია საჯარო მოხელეთა მხრიდან სპეციალური საჭიროების მქონე - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ანდა წერა-კითხვის არმცოდნე აპლიკანტთათვის დახმარების ვალდებულება.

საქართველო

ამგვარ დათქმას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

▶ დაწესებულების მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიღება:

სერბეთი

სერბეთის კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის მიღების ოფიციალურ ან წერილობით დადასტურების მექანიზმს საჯარო დაწესებულებათა მხრიდან გონივრულ ვადებში (რომელიც სტანდარტით არ უნდა აღემატებოდეს 5 სამუშაო დღეს), რაზედაც დაკლებულია ქულა.

საქართველო

მართალია საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს პირდაპირ ხსენებული წერილობითი დასტურის მექანიზმს, თუმცა შესაბამისი გადაწყვეტილების დასკვნა შეიძლება დაკავშირებულ იქნას სხვაკ-ის მე-40 მუხლში მოყვანილ ათდღიან ვადასთან.

▶ დამატებითი ვადები:

სერბეთი

სტანდარტით მოთხოვნილია საჯარო ინფორმაციის გაცემაზე საპატიო მიზეზით დამატებითი ვადების აღების კონკრეტული დროის მითითება (20 სამუშაო დღე ან ნაკლები), მათ შორის მომთხოვნი პირების შეტყობინების ვალდებულება და შესაბამისი ვადის გაგრძელების საფუძვლების მითითება. სერბეთს ქულა დააკლდა დამატებითი ვადების აღების 40 დღიანი პერიოდის გამო.

საქართველო

საქართველოს კანონმდებლობით არ არის გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის საჭირო მაქსიმუმ 10 დღიანი პერიოდის ზემოთ რაიმე დამატებითი ვადები.

▶ საფასური საჯარო ინფორმაციის გაცემისათვის:

სერბეთი

საჯარო ინფორმაციის გაცემის საფასური დაწესებულია ერთიანი აქტით (ანუ ინდივიდუალურად დაწესებულებები ვერ ადგენენ საფასურს), ხოლო საფასური დაყვანილია მხოლოდ ინფორმაციის რეპროდუცირებისა და გაგზავნის ხარჯებამდე, რაც სრულად შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტს. ქულა დაკლებულია დამატებითი სტანდარტის დაუკმაყოფილებლობის საფუძვლით, რომლის მიხედვითაც გვერდების გარკვეული საწყისი რაოდენობა (სულ ცოტა 20 მაინც) მომთხოვნს საფასურის გადახდის გარეშე უნდა წარედგინოს, ხოლო სერბეთის მთავრობის დადგენილებით 50 დინარზე ნაკლები ფასის მქონე დოკუმენტაციის ხარჯების ანაზღაურება მომთხოვნს არ მოეთხოვება - რაც 16 ასლის ექვივალენტია. ამასთან, გარკვეული კატეგორიის მოთხოვნებზე საფასურის გადახდა საერთოდ არ არის დაწესებული (მაგ. ჟურნალისტები, ადამიანის უფლებათა სფერო, ადამიანებისა და გარემოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია).

საქართველო

სერბეთის პრაქტიკის ანალოგიურად საქართველოს კანონმდებლობაც ნაწილობრივ აკმაყოფილებს მოთხოვნილ სტანდარტს, თუმცა სხვაგვარად: ინფორმაციის რეპროდუცირების ხარჯებისაგან განსხვავებით მოთხოვნილი არ არის ინფორმაციის გაგზავნის საფასური, თუმცა არ არის გათვალისწინებული საჯარო ინფორმაციის მომთხოვნისათვის გვერდების გარკვეულ საწყის რაოდენობაზე (სულ ცოტა 20 მაინც) საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან გათავისუფლება.

▶ გადახდისუუნარო პირების საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება:

სერბეთი

აღნიშნულია, რომ ხსენებულ სტანდარტის დაკმაყოფილებასთან სერბეთი ახლოსაა, თუმცა ქულა არ ეწერება, რადგან მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კანონმდებლობა ითვალისწინებს ჟურნალისტებისა და ადამიანის უფლებათადამცველ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მოთხოვნილ ინფორმაციაზე საფასურის დაწესების დაუშვებლობას, არ არის დაკონკრეტება გადახდისუუნარო პირებზე.

საქართველო

გადახდისუუნარო პირების მიერ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში საფასურის გადახდისაგან გათავისუფლების დათქმას საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს.

▶ დაწესებულებებიდან მიღებული საჯარო ინფორმაციის ხელახალი გამოყენება:

არც სერბეთისა და არც საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს იმ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის ხელახალი გამოყენებისათვის არ არის დაწესებული არანაირი სახის შეზღუდვა ან საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე პირს გააჩნია საჯარო ინფორმაციაზე საავტორო უფლებები.

შეფასების ბლოკი - გამონაკლისები

▶ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებული კანონმდებლობის უპირატესობა

სერბეთი

სერბეთის კანონმდებლობას უმაღლესი ქულა აქვს მინიჭებული იმ სტანდარტის მიხედვით, რომლის თანახმადაც საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში მოყვანილ სტანდარტებს გააჩნიათ უპირატესობა სხვა საკანონმდებლო აქტებში მოყვანილ საჯარო ინფორმაციის ღიაობის შეზღუდვებთან (საიდუმლოებათა პირობები) მიმართებაში ნებისმიერ კოლიზიის შემთხვევაში. („საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის მე-8 მუხლი).

საქართველო

სზაკ-ის მე-3 თავში მოყვანილი სტანდარტებს არ გააჩნიათ უპირატესობა მთელ რიგ საკანონმდებლო აქტებთან კოლიზიის შემთხვევაში („პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი - უფრო ახალი, „საგადასახადო საიდუმლოება“ საგადასახადო კოდექსში - უფრო ახალი და ა.შ.). ამასთან, რადგან სზაკი ჩვეულებრივი კანონია, მას არ გააჩნია უპირატესობა არცერთ ორგანულ კანონთან მიმართებაში.

▶ საჯარო ინტერესის პრეზუმპცია

სერბეთი

„საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის მე-4, მე-8 და მე-14 მუხლებიდან შესაძლებელია გამოტანილ იქნეს დასკვნა, რომ არსებობს სტანდარტად მიჩნეული დათქმა, რომ საჯარო ინფორმაცია უნდა გახსნილ იქნეს, თუ ის წარმოადგენს ზოგად საჯარო ინტერესის საგანს, მაშინაც კი, როდესაც ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს დაცულ ინტერესს. ხსენებული კანონის მე-4 მუხლის თანახმად: „არსებობს გამართლებული საჯარო ინტერესის არსებობა, თუ შესაბამისი საჯარო დაწესებულება საწინააღმდეგოს ვერ ამტკიცებს.“

საქართველო

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს საჯარო ინტერესის უპირატესობის შესახებ მითითებას.

▶ ადრე არსებული საჯარო ინფორმაციის ღიაობა

სერბეთი

სერბეთის კანონმდებლობა ექსპერტების მიერ შეფასებულ იქნა 0 ქულით („კანონმდებლობა არ ითვალისწინებს“), იმ სტანდარტის მიხედვით, რომლის მოთხოვნაცაა საჯარო ინფორმაციის მიღების უფლებაზე შეზღუდვის დაუყოვნებელი მოხსნა შესაბამისი გამონაკლისის ამოწურვის შემთხვევაში (მაგ. როდესაც სახელშეკრულებო ტენდერის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესი დასრულდა), აგრეთვე იმ სტანდარტის მიხედვით, რომლის თანახმადაც კანონმდებლობა შეიცავს მუხლს - საჯარო ინტერესების დაცვის გამონაკლისები არ შეეხება იმ ინფორმაციას, რომლის შექმნიდანაც 20 წელიწადზე მეტი გავიდა.

საქართველო

საქართველოს კანონმდებლობამ ნაწილობრივ დააკმაყოფილა ხსენებული სტანდარტი - სზაკ-ის 50-ე მუხლის თანახმად: „კოდექსის 28-ე და 29-ე მუხლებით გათვალისწინებული საჯარო ინფორმაცია, გარდა პერსონალური მონაცემებისა, კომერციული და პროფესიული საიდუმლოებებისა, ღიაა, თუ იგი შექმნილი, გაგზავნილი ან მიღებულია 1990 წლის 28 ოქტომბრამდე, ამ ინფორმაციაში მოხსენიებული პირების იდენტიფიკაციის გამომრიცხავ ფორმით მათი სიცოცხლის განმავლობაში. სზაკ-ის ძალაში შესვლის თარიღია 1999 წელი.

▶ პროცედურები მესამე პირებთან მიმართებაში საჯარო ინფორმაციის გაცემისას

სერბეთის, ისევე როგორც საქართველოს კანონმდებლობა შეფასებულ იქნა 0-ით, იმ სტანდარტის მიხედვით, რომლის თანახმადაც კანონმდებლობაში არსებობს პირდაპირი და ნათელი მითითება მესამე პირებთან კონსულტაციების წარმოების შესახებ, რომელთა მიერ მიწოდებული საჯარო ინფორმაცია წარმოადგენს მოთხოვნის საგანს კონფიდენციალობის კუთხით. ამასთან, უნდა არსებობდეს ჩანაწერი საჯარო დაწესებულების ვალდებულებაზე გათვალისწინოს მესამე პირის მხრიდან ნებისმიერი პროტესტი საჯარო ინფორმაციის გაცემისას, თუმცა გადაწყვეტილების მიღებისას ხსენებული მესამე პირები არ უნდა სარგებლობდნენ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე ვეტოს დადების უფლებით. ექსპერტების მიერ აღნიშნულია, რომ ორივე ქვეყნის კანონმდებლობაში არსებული დათქმა მესამე პირთა შესახებ არსებული მონაცემების მოთხოვნისას მხოლოდ მათი თანხმობის საფუძველზე შესაბამის ინფორმაციის გაცემაზე არასაკმარისია ხსენებული სტანდარტის დასაკმაყოფილებლად.

▶ საჯარო ინფორმაციის ნაწილობრივი ღიაობა

სერბეთი

„საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის მე-12 მუხლში პირდაპირ მითითებულია, რომ თუ მოთხოვნილი ღია საჯარო მნიშვნელობის ინფორმაცია შეიძლება გამოცალკევებულ იქნას საიდუმლო ინფორმაციის მომცველ დოკუმენტიდან, ინფორმაციის გაცნობა უზრუნველყოფილ იქნება მხოლოდ დოკუმენტის იმ ნაწილზე, რომელიც მოიცავს გამოცალკევებულ ინფორმაციას.

საქართველო

საქართველოს კანონმდებლობაში არ არსებობს ხსენებული მუხლი.

▶ დამოუკიდებელი საზედამხედველო ორგანო

სერბეთი

სერბეთის კანონმდებლობა („საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის მე-4 თავი) გასაჩივრების ბლოკში ძალზედ მაღალი რეიტინგით გამოირჩევა, ვინაიდან ითვალისწინებს სახელმწიფოში საჯარო ინფორმაციის ღიაობაზე დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოს - საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციის კომისიონერის არსებობას. კომისიონერის ფუნქციებშია ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ ქმედებათა (ან უმოქმედობათა) თაობაზე საჩივრების განხილვა, შესასრულებლად სავალდებულო შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და დასკვნების მიღება, ადმინისტრაციულ ორგანოებისათვის საჯარო ინფორმაციის ღიაობის პოლიტიკის გაუმჯობესების რეკომენდაციების მიწოდება, საჯარო ინფორმაციის ღიაობის საკითხში საჯარო მოსამსახურეთა ტრენინგების ორგანიზება და მათი შესაბამისი საკითხისადმი შეგნების დონის ამაღლება, საჯარო დაწესებულებათა მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულების მონიტორინგი და ეროვნული საბჭოსათვის შესაბამისი დასკვნის წარდგენა და მისი.

საქართველო

საქართველოს კანონმდებლობა არ ითვალისწინებს სახელმწიფოში კონკრეტულად საჯარო ინფორმაციის ღიაობაზე დამოუკიდებელ საზედამხედველო ორგანოს არსებობას, თუმცა სტანდარტის რიგი ინდიკატორები შეფასებულია სახალხო დამცველის ფუნქციების ანალოგიით (საზედამხედველო ფუნქციებში ჩაურევლობა და დამოუკიდებლობა, მიმართვის შემთხვევაში საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება, შესაბამისი შემოწმებისას ნებისმიერ ორგანოში დაუბრკოლებლად შესვლის უფლება და ა.შ.). ამასთან, 0 ქულად არის შეფასებული საქართველოს კანონმდებლობაში საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების არარსებობის, მისი დასკვნებისა და გადაწყვეტილებების შესასრულებლად სავალდებულო ძალის არქონისა და ინფორმაციის განსაჯაროების დავალების მიცემის უფლებამოსილების არქონის ინდიკატორები.

▶ გასაჩივრების პროცედურა

სერბეთი

სერბეთის კანონმდებლობა დადებითად არის შეფასებული იმ სტანდარტის მიხედვით, რომლის თანახმადაც არსებობს საზედამხედველო ორგანოში საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან დაკავშირებული საკითხის გასაჩივრების ზუსტი პროცედურების განწერა და კონკრეტული ვადების მითითება („საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის 22-ე, 24-ე მუხლები - საჯარო დაწესებულების მიერ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღიან პერიოდში გასაჩივრების უფლება, კომისიონერის მიერ გადაწყვეტილების გამოტანა არაუგვიანეს 30 დღისა საჩივრის წარდგენიდან).

საქართველო

საქართველოს კანონმდებლობას დაკლებული აქვს ქულა, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მართალია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონი ითვალისწინებს მე-13-15 მუხლებში შესაბამის განცხადებებისა და საჩივრების განხილვის ზუსტ პროცედურებს, თუმცა არ არის მითითებული პროცედურული ვადები.

▶ მტკიცების ტვირთი

სერბეთი

„საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის 24-ე მუხლი პირდაპირ ადგენს, რომ „საჯარო დაწესებულება ვალდებულია ამტკიცოს თავის ქმედების მიზანშეწონილობა ხსენებულ კანონთან მიმართებაში“, რაც მიჩნეულ იქნა იმ სტანდარტის სრულ დაკმაყოფილებად, რომლის მიხედვითაც მტკიცების ტვირთი ვალდებულების დაურღვევლობაზე აწევს მთავრობას.

საქართველო

ქულა დაკლებული აქვს საქართველოს, იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პირველ ეტაპზე უფლების დარღვევის მტკიცების ტვირთი მომჩივანზეა, ხოლო უკვე სასამართლოს მიერ საქმის წარმოებაში მიღების შემდგომ, მტკიცების ტვირთი საჯარო დაწესებულებას აქვს.

▶ გადაწყვეტილებათა სავალდებულობა

სერბეთი

სერბეთის კანონმდებლობა ნაწილობრივ აკმაყოფილებს სტანდარტს, რომლის მიხედვითაც საჩივრის განმხილველ საზედამხედველო ორგანოს გააჩნია უფლებამოსილება დაავალდებულოს საჯარო დაწესებულებას გაატაროს შესაბამისი სტრუქტურული ხასიათის ზომები (მაგ. ჩასატარებელი ტრენინგების რაოდენობის გაზრდა ან დოკუმენტთა წარმოების გაუმჯობესება). „საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის 28-ე და 35-ე მუხლებიდან არ გამომდინარეობს კონკრეტული ზომების გატარების დაავალდებულება, თუმცა აღიარებულია კომისიონერის უფლება გამოიყენოს გადაწყვეტილებათა სავალდებულო აღსრულების საშუალებები.

საქართველო

საქართველოს კანონმდებლობა შეფასებულია 0-ით ხსენებული სტანდარტის თანახმად, რადგან „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლი ითვალისწინებს მხოლოდ წინადადებების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარდგენის მექანიზმს და არა დაავალდებულებას.

შეფასების ბლოკი - სანქციები

▶ უფლების განხორციელებისათვის დაბრკოლების შექმნა

სერბეთი

სერბეთის კანონმდებლობა აკმაყოფილებს სტანდარტს, რომლის თანახმადაც კანონმდებლობით გათვალისწინებულია სანქციები ინფორმაციის მიღების უფლების განხორციელებისათვის გამიზნული დაბრკოლებების შექმნისათვის, მათ შორის ინფორმაციის განადგურების გზით დაბრკოლების შექმნა. „საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის 44-ე და 46-ე მუხლები კონკრეტულად არ ახსენებენ ინფორმაციის განადგურებას, თუმცა ხსენებული ქმედება დარწმუნებით შეიძლება მიჩნეულ იქნას სანქციის საფუძვლად მუხლების შინაარსიდან გამომდინარე.

საქართველო

ხსენებული სტანდარტით 0-ით არის შეფასებული საქართველოს კანონმდებლობა, თუმცა ექსპერტთა მიერ მოყვანილია შენიშვნა, რომ სზაკის 49-ე მუხლის დ) ქვე-პუნქტით

აღინიშნება საჯარო მოსამსახურეთა მიერ სზაკის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობისა და პასუხიმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების შესახებ 10 დეკემბრის ანგარიშში, რაც „წარმოშობს ვარაუდს, რომ არსებობს სანქციათა დაწესების გარკვეული მექანიზმი, რომელიც პირდაპირ არ არის გაწერილი კანონით.“

- ▶ საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურის დარღვევათა შესახებ მამხილებლების (whistleblower) დაცვა

სერბეთი

ექსპერტთა შეფასებას თანახმად სერბეთის კანონმდებლობა ითვალისწინებს საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურის დარღვევათა შესახებ დაწესებულებათა შიდა მამხილებლეთა (whistleblower) სანქციათაგან სამართლებრივი დაცვის მექანიზმს, თუმცა „საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის 38-ე მუხლზე მითითება განმარტავს, რომ დაცვის მექანიზმების წინაპირობები არ არის შესაბამისი, რაც წარმოშობს ექსპერტთა მხრიდან შეფასების ბუნდოვანებას.

საქართველო

საქართველოს კანონმდებლობის მაგალითზე ექსპერტები ნაკლებად ბუნდოვანნი არიან, ინდიკატორი შეფასებულია 0-ით და მითითებულია, რომ კანონმდებლობა ამგვარ სამართლებრივ დაცვას საერთოდ არ ითვალისწინებს.

შეფასების ბლოკი - ხელშემწყობი ზომები

- ▶ საჯარო ინფორმაციის მიღების უფლების ხელშემწყობი ორგანო

სერბეთი

სერბეთის კანონმდებლობა, კომისიონერზე დაკისრებული ფუნქციების ხარჯზე („საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის 35-ე მუხლი ქვე-პუნქტები 2) და 6)) აკმაყოფილებს იმ სტანდარტს, რომლის მიხედვითაც ცენტრალურ სახელმწიფო ორგანოს (იქნება ეს საჯარო ინფორმაციის კომისიონერი ან სამთავრობო დეპარტამენტი) გააჩნია სრული პასუხისმგებლობა საჯარო ინფორმაციის უფლების ხელშემწყობაზე საზოგადოებისათვის.

საქართველო

საქართველოს კანონმდებლობა შეფასებულია 0 ქულით და აღნიშნულია, რომ „არ არსებობს ინფორმაციის თავისუფლების ხელშეწყობაზე პასუხისმგებელი ორგანო.“

▶ **საზოგადოების ცნობიერების ამაღლება**

სერბეთი

„საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის 37-ე მუხლის თანახმად, „კომისიონერი დაუყოვნებლივ აქვეყნებს და აახლებს საჯარო ინფორმაციის მიღების უფლების გზამკვლევეს, რომლის შინაარსის საზოგადოებისათვის გაცნობის ვალდებულებაც კომისიონერს ევალება ელექტრონული მედიის, პრესის, ინტერნეტის, საჯარო განხილვების და სხვა გზით.“ აღნიშნული ექსპერტების მიერ მიჩნეულ იქნა, იმ სტანდარტის დაკმაყოფილებად, რომლის თანახმადაც კანონმდებლობა ითვალისწინებს საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მცდელობებს (მაგ. ინფორმაციის თავისუფლების ოფიციალური გზამკვლევის შემუშავება ან სკოლებში ინფორმაციის თავისუფლების საკითხების სწავლება).

საქართველო

ხსენებული სტანდარტი საქართველოსთან მიმართებაში შეფასებულია 0 ქულით.

▶ **რეესტრების შექმნა, განახლება და გამოქვეყნების ვალდებულება**

სერბეთი

„საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის 39-ე მუხლი პირდაპირ განსაზღვრავს, რომ სახელმწიფო ორგანო სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც აქვეყნებს საკუთარი საქმიანობის შესახებ რეესტრს.“ აღნიშნულ მუხლშივე მოყვანილია იმ ინფორმაციის ჩამონათვალი, რომელიც შევა რეესტრში, და დაინტერესებულ პირთა მიერ საფასურის გადახდის გარეშე ინფორმაციის გაცნობაზე დაშვების და შესაბამისი ანაზღაურებით რეესტრის ასლის მიწოდების ვალდებულება. აღნიშნული მიჩნეულ იქნა ექსპერტების მიერ იმ სტანდარტის სრულ დაკმაყოფილებად, რომლის თანახმადაც კანონმდებლობა ითვალისწინებს საჯარო დაწესებულებებისადმი მოთხოვნას, შექმნან და განახლონ მათთან არსებული დოკუმენტების სიების რეესტრი და გამოაქვეყნონ ხსენებული რეესტრი.

საქართველო

ხსენებულ სტანდარტთან მიმართებაში საქართველოს კანონმდებლობა შეფასებულია 0 ქულით, იმ გარემოების გამო, რომ მართალია სზაკ-ის 35-ე მუხლით გათვალისწინებულია საჯარო დაწესებულების ვალდებულება ამ დაწესებულებაში არსებული საჯარო ინფორმაცია

შეიტანოს საჯარო რეესტრში, თუმცა არ არის დადგენილი ხსენებული რეესტრის გამოქვეყნების ვალდებულება.

▶ **საჯარო მოხელეთა ტრენინგი**

სერბეთი

„საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის 42-ე და 35-ე მუხლების მიხედვით დაკმაყოფილებულია სტანდარტი, რომლის თანახმადაც კანონმდებლობა საჯარო მოხელეთათვის აწესებს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ტრენინგის პროგრამას, რომლის ჩატარებასაც სერბეთის მაგალითზე უზრუნველყოფს კომისიონერი (ადმინისტრაცია) ან თვით საჯარო დაწესებულება.

საქართველო

საქართველოს კანონმდებლობა ხსენებულ სტანდარტს ვერ აკმაყოფილებს, რადგან არ ითვალისწინებს საჯარო მოხელეთათვის ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ტრენინგის პროგრამებს.

▶ **საზედამხედველო ორგანოს ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით**

მართალია მიჩნეულია, რომ ორივე - სერბეთისა და საქართველოს კანონმდებლობა, ითვალისწინებს ხსენებული ინდიკატორის არსებობას ¹, თუმცა საქართველოს კანონმდებლობის მიმართება სტანდარტთან მიჩნეულია ნაწილობრივად. ქულა დაკლებულია „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის ზ) ქვე-პუნქტში მოყვანილი ჩანაწერის გამო, რომლის თანახმადაც: „საქართველოს სახალხო დამცველი უფლებამოსილია შემოწმების შედეგების მიხედვით მიღებული გადაწყვეტილებები შეიტანოს ყოველწლიურ და სპეციალურ ანგარიშებში“, რაც არ გულისხმობს სტანდარტით მოთხოვნილ შესაბამის ვალდებულების არსებობას.

¹ „საჯარო მნიშვნელობის ინფორმაციაზე თავისუფალი წვდომის შესახებ“ სერბეთის კანონის 35-ე და 36-ე მუხლებით განსაზღვრული კომისიონერის ვალდებულება წარუდგინოს ეროვნულ საბჭოს ყოველწლიური ანგარიში საჯარო დაწესებულებათა მიერ ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის აღსრულებასთან დაკავშირებით და „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლით განსაზღვრული საქართველოს სახალხო დამცველის ვალდებულება საქართველოს პარლამენტს წელიწადში ერთხელ, წარუდგინოს კალენდარული წლის მარტში ანგარიში ქვეყანაში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ.

რეკომენდაციები

საქართველოს ინფორმაციის თავისუფლების კანონმდებლობის გაუმჯობესება საერთაშორისო რეიტინგის მიხედვით

როგორც ინფორმაციის თავისუფლების გლობალური რეიტინგი აჩვენებს, არც სერბეთის, და არც საქართველოს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული შესაბამისი კანონმდებლობა არ არის სრულყოფილი და იდეალური. იმისათვის, რათა ჩვენი სახელმწიფოს კანონმდებლობა მაქსიმალური - 150 ქულით შეფასდეს, საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებისა და კანონმდებლობაში რიგი პროცედურული და ინსტიტუციონალური ელემენტების ინტეგრირება. ხსენებული ცვლილებები შესაძლებელია ჩამოყალიბებულ იქნას რეკომენდაციათა პაკეტის სახით, რომლის ძირითადი პუნქტები მოიცავენ შემდეგ დებულებებს:

1. შესაძლებელია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავის (ინფორმაციის თავისუფლება) კოდექსიდან გამოცალკეება და განცალკევებული ნორმატიული აქტის - საქართველოს კანონი „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“ სახით მიღება;
2. ინფორმაციის თავისუფლების მარეგულირებელი ნორმები სასურველია შეიცავდნენ შემდეგი პრინციპების ხაზგასმას - საჯარო ინფორმაციის მიღების ინტერესის დაცვა და შესრულება, თავისუფალი დემოკრატიული წყობილების ხელშეწყობის მიზანი და ღია საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობის მიზანი;
3. სასურველია კანონმდებლობაში იმ პირდაპირი დათქმის გაკეთება, რომ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა კლასიკური წერილობითი ფორმის გამოყენების გარდა, შესაძლებელია განხორციელდეს ტელეკომუნიკაციის ისეთი საშუალებების გამოყენებითაც, როგორებიცაა ელექტრონული ფოსტა (ელექტრონული სახით საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა-მიღების შესაძლებლობა, სზაკ-ის მიხედვით, უკვე 2013 წლის 1 სექტემბრიდან შევა ძალაში) და ფაქსი;
4. სასურველია არსებობდეს საკანონმდებლო დათქმა იმის თაობაზე, რომ საჯარო მოხელეები ვალდებული არიან გაუწიონ დახმარება საჯარო ინფორმაციით დაინტერესებულ პირებს მოთხოვნების ფორმულირებაში, ან/და დააზუსტებინონ ძალზედ ფართო ან ბუნდოვანი მოთხოვნები. აგრეთვე, რეკომენდირებულია კანონმდებლობა ითვალისწინებდეს საჯარო მოხელეთა მხრიდან სპეციალური საჭიროების მქონე - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა ან/და წერა-კითხვის არმცოდნე აპლიკანტთათვის დახმარების ვალდებულებას;

5. კანონმდებლობა სასურველია ითვალისწინებდეს საჯარო დაწესებულების მხრიდან ინფორმაციის მოთხოვნის მიღების ოფიციალური წერილობით დადასტურების პირდაპირ მექანიზმს, რომელიც სტანდარტით არ უნდა აღემატებოდეს ინფორმაციის მიღებიდან გასულ 5 სამუშაო დღეს;
6. სასურველია კანონმდებლობა ითვალისწინებდეს საჯარო დაწესებულების მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე საპატიო მიზეზით დამატებითი ვადების აღების შესაძლებლობას, კონკრეტული დროის მითითების (20 სამუშაო დღე ან ნაკლები), მომთხოვნი პირების შეტყობინებისა და შესაბამისი ვადის გაგრძელების საფუძვლების მითითების დავალდებულებით;
7. სასურველია „საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში შესაბამისი ცვლილებების შეტანა, რომლის თანახმადაც, საჯარო ინფორმაციის სულ ცოტა 20 გვერდის მოთხოვნის შემთხვევაში, მისი გაცემისთვის შესაბამისი საფასური არ დაწესდება, ამასთან შესაბამისი საფასური აგრეთვე არ დაწესდება იმ კატეგორიის მომთხოვნ პირებზე, როგორცაა წარმოადგენენ ჟურნალისტები, ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მომუშავე პირები და გადახდისუუნარო პირები, აგრეთვე ადამიანების (ჯანდაცვა) და გარემოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია;
8. სასურველია კანონმდებლობა პირდაპირ ითვალისწინებდეს იმ დათქმას, რომ საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ინფორმაციის ხელახალი გამოყენებისათვის არ იქნება დაწესებული არანაირი სახის შეზღუდვა ან საფასური, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მესამე პირს გააჩნია საჯარო ინფორმაციაზე საავტორო უფლებები;
9. იქნება ეს ახალი ნორმატიული აქტი - საქართველოს კანონი „ინფორმაციის თავისუფლების შესახებ“, თუ სზაკ-ში მოყვანილი მე-3 თავი, საქართველოს კანონმდებლობას ხსენებულ აქტებთან მიმართებაში სასურველია გააჩნდეს ის სისტემური მიდგომა, რომ საჯარო ინფორმაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში მოყვანილი სტანდარტები სარგებლობდნენ უპირატესობით სხვა საკანონმდებლო აქტებში მოყვანილ საჯარო ინფორმაციის ღიაობის შეზღუდვებთან (საიდუმლოებათა პირობები) ნებისმიერ კოლიზიის შემთხვევაში;
10. საქართველოს კანონმდებლობაში სასურველია დანერგილ იქნას საჯარო ინტერესის უპირატესობა ანუ საჯარო ინფორმაცია უნდა გახსნილ იქნეს, თუ ის წარმოადგენს ზოგად საჯარო ინტერესის საგანს, მაშინაც კი, როდესაც ამან შეიძლება ზიანი მიაყენოს დაცულ ინტერესს. ამასთან, კუმულაციურ პირობას უნდა წარმოადგენდეს ის გარემოება, რომ უნდა არსებობდეს გამართლებული საჯარო ინტერესი, თუ შესაბამისი საჯარო დაწესებულება საწინააღმდეგოს ვერ ამტკიცებს;

11. საქართველოს კანონმდებლობა სასურველია ითვალისწინებდეს პირდაპირ მითითებას იმის თაობაზე, რომ საჯარო ინფორმაციის მიღების უფლებაზე შეზღუდვა დაუყოვნებლივ მოხსნილ იქნება შესაბამისი გამონაკლისის ამოწურვის შემთხვევაში (მაგ. სახელშეკრულებო ტენდერის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესის დასრულება);
12. მესამე პირთა შესახებ არსებული მონაცემების მოთხოვნისას მათი თანხმობის მექანიზმის არსებობასთან ერთად, სასურველია დამატებით არსებობდეს მითითება მესამე პირებთან კონსულტაციების წარმოების შესახებ, ამასთან სასურველია არსებობდეს საჯარო დაწესებულების ვალდებულება გაითვალისწინოს მესამე პირის მხრიდან ნებისმიერი პროტესტი საჯარო ინფორმაციის გაცემისას, თუმცა გადაწყვეტილების მიღებისას ხსენებულ მესამე პირებს არ უნდა გააჩნდეთ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე აკრძალვის უფლება;
13. კანონმდებლობაში სასურველია არსებობდეს დათქმა, რომ თუ მოთხოვნილი ღია საჯარო მნიშვნელობის ინფორმაცია შეიძლება გამოცალკევებულ იქნას საიდუმლო ინფორმაციის მომცველ დოკუმენტიდან, ინფორმაციის გაცნობა უზრუნველყოფილ იქნება მხოლოდ დოკუმენტის იმ ნაწილზე, რომელიც მოიცავს გამოცალკევებულ ინფორმაციას;
14. განსახორციელებელია მნიშვნელოვანი ინსტიტუციონალური ცვლილება სპეციალური საზედამხედველო ორგანოს შექმნის კუთხით, რომელსაც დაეკისრება სრული პასუხისმგებლობა საჯარო ინფორმაციის უფლების ხელშეწყობაზე საზოგადოებისათვის. სასურველია დამოუკიდებელი სახელმწიფო ორგანოს - **საჯარო ინფორმაციის კომისიონერის თანამდებობის შემოღება**, რომლის ფუნქციებშიც იქნებოდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებულ ქმედებათა (ან უმოქმედობათა) თაობაზე საჩივრების განხილვა, შესასრულებლად სავალდებულო შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და დასკვნების მიღება, ადმინისტრაციულ ორგანოებისათვის საჯარო ინფორმაციის ღიაობის პოლიტიკის გაუმჯობესების რეკომენდაციების მიწოდება, საჯარო ინფორმაციის ღიაობის საკითხში საჯარო მოსამსახურეთა ტრენინგების ორგანიზება და მათი შესაბამისი საკითხისადმი შეგნების დონის ამაღლება, საჯარო დაწესებულებათა მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულების მონიტორინგი და პარლამენტისათვის შესაბამისი დასკვნის წარდგენა;
15. საჯარო ინფორმაციის კომისიონერის აპარატთან, საქართველოში საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან დაკავშირებულ რიგ საკითხებზე, არ არის გამორიცხული სახალხო დამცველის თანამშრომლობა;
16. ზემოთხსენებულ ორგანოსთან მიმართებაში, სასურველია კანონმდებლობა უზრუნველყოფდეს მასთან საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან დაკავშირებული

საკითხის გასაჩივრების ზუსტი პროცედურების განწერასა და კონკრეტული ვადების მითითებას;

17. სასურველია კანონმდებლობამ უზრუნველყოს კომისიონერის საზედამხედველო ფუნქციებში ჩაურევლობა და დამოუკიდებლობა, მიმართვის შემთხვევაში საფასურის გადახდისაგან გათავისუფლება, შესაბამისი შემოწმებისას ნებისმიერ ორგანოში დაუბრკოლებლად შესვლის უფლება, აგრეთვე საზედამხედველო ორგანოს ხელმძღვანელისადმი წაყენებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების, მისი დასკვნებისა და გადაწყვეტილებების შესასრულებლად სავალდებულო ძალის ქონისა და ინფორმაციის განსაჯაროების დავალების მიცემის უფლებამოსილების არსებობა;
18. განსხვავებით საქართველოს რეალობაში ამჟამად არსებული სახალხო დამცველის მიერ წინადადებების, შენიშვნებისა და რეკომენდაციების წარდგენის შესაძლებლობისა, სასურველია კანონმდებლობა მკაფიოდ განსაზღვრავდეს, რომ საჩივრის განმხილველ საზედამხედველო ორგანოს გააჩნია უფლებამოსილება დაავალდებულოს საჯარო დაწესებულებას გაატაროს შესაბამისი სტრუქტურული ხასიათის ზომები (მაგ. ჩასატარებელი ტრენინგების რაოდენობის გაზრდა ან დოკუმენტთა წარმოების გაუმჯობესება);
19. სასურველია საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებდეს კონკრეტულ სანქციებს ინფორმაციის მიღების უფლების განხორციელებისათვის **გამიზნული დაბრკოლებების შექმნისათვის** (საჯარო ინფორმაციის გაცემის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირის დისციპლინარული ან/და მატერიალური სანქციები), რაც აგრეთვე მოიცავს ინფორმაციის განადგურების გზით დაბრკოლების შექმნას;
20. სასურველია საქართველოს კანონმდებლობა აგრეთვე ითვალისწინებდეს საჯარო ინფორმაციის გაცემის პროცედურის დარღვევათა შესახებ დაწესებულებათა შიდა მამხილებლეთა (whistleblower) სანქციათაგან სამართლებრივი დაცვის მექანიზმს;
21. სასურველია საქართველოს კანონმდებლობა ითვალისწინებდეს საჯარო ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებული საზოგადოების ცნობიერების ამაღლების იმგვარ ღონისძიებებს, როგორცაა ინფორმაციის თავისუფლების ოფიციალური გზამკვლევის შემუშავება ან სკოლებში ინფორმაციის თავისუფლების საკითხების სწავლება;
22. სასურველია საქართველოს კანონმდებლობამ დაავალდებულოს საჯარო დაწესებულებებს წელიწადში ერთხელ მაინც გამოაქვეყნონ საკუთარი საქმიანობის შესახებ რეესტრი (საჯარო რეესტრი);
23. სასურველია საქართველოს კანონმდებლობამ საჯარო მოხელეთათვის დააწესოს ინფორმაციის თავისუფლებასთან დაკავშირებულ ტრენინგის პროგრამა, რომლის

ჩატარებასაც უზრუნველყოფს კომისიონერი (ადმინისტრაცია) ან თვით საჯარო დაწესებულება;

24. სასურველია საზედამხედველო ორგანოს ანგარიში ინფორმაციის თავისუფლების კანონის აღსრულებასთან დაკავშირებით კანონმდებლობის ძალით დაექვემდებაროს წარმოდგენასა და განსაჯაროებას.

დასკვნის სახით

საკანონმდებლო ცვლილებების ზემოთ მოყვანილი სარეკომენდაციო პაკეტი საჭიროებს დახვეწასა და უკვე შემდგომ, საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში ჰარმონიულ შერწყმას, რაც შეიძლება გახდეს სამომავლო მსჯელობის საგანი დაინტერესებულ პირთა მხრიდან. ნებისმიერ შემთხვევაში, საჯარო ინფორმაციის ღიაობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის კონკრეტული ასპექტების გაუმჯობესება - იქნება ეს ახალი ინსტიტუტების შემოღება, თუ ძველი მარეგულირებელი ნორმების გაუმჯობესება უნდა ემსახუროდეს დემოკრატიული წყობილების ხელშეწყობის მიზანს. სწორად აღნიშნულს ემყარება ინფორმაციის თავისუფლების გლობალური რეიტინგის შეფასების მეთოდოლოგიაც. საკანონმდებლო ცვლილებების სარეკომენდაციო პაკეტის თითოეული პუნქტი ეხმაურება საჯარო ინფორმაციის ღიაობის გაუმჯობესების კონკრეტულ გამოწვევას, რომლის მიღებაც, საქართველოს კანონმდებლობასა და სახელმწიფოს ძალუმს. აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები საქართველოში ინფორმაციის თავისუფლების დარგში არსებული მთელი რიგი პრობლემების პრაქტიკული გადაჭრის პერსპექტივას იძლევა.